№ 120. 30 მაისი, შაბათი. 1866—1881 30 მაისი, შაბათი. № 120

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე. თვ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“, „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3თვეს |
|---|---|---|---|
| დროება და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივი ასოთი შთაკრეფილით ასოზე ნახევარი კაპ., ყველაზე წვრილით ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

სავაჭრო სახლი

## ძმანი ქ. და ს. პაპოვები

(მოსკოვში)

პატივი გვაქვს საყოველთაოდ გამოვაცხადოთ, რომ ამა წლის 2 ივნისს გაიხსნება ჩვენი მაღაზია თფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლში, სადაც ნარდათ და წვრილ-წვრილათ გაისყიდება ჩვენის ფირმის ჩაი, აწონილი ჩვენის ზედამხედველობით ჩვენს მოსკოვის მთავარს მაღაზიაში.

ჩაის გარდა მაღაზიაში გაისყიდება აგრეთვე ყავა და შაქარი. (5—1)

არწრუნის თეატრში

კვირას, 31 მაისს

ნ. გაბუნიას ქალის სასარგებლოდ:

ქართული დრამატიული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქმნება:

I

მაჭანკალი

ორ-მოქმედებიანი კომედ., ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანისაგან“ იმისგანვე გადმოკეთებული.

II

ბაიყუში

ორ-მოქმედებიანი ფარსი—ვოდევილი, ავქ. ცაგარლისა.

III

დივერტისმენტი

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში და „ივერიის“ თამბაქოს მაღაზიაში.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

## ტელეგრამმები

(„ჩრდილოეთ-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 27 მაისს. მმართებლობის განცხადება: რუსეთის მმართებლობის საჩუქმე ბოლგარიის ამშფოთებლებს აფიქრებინა, ვითომც ეს მმართებლობა არ თანაუგრძნობს ბოლგარიის მთავრის გარდაწყვეტილებას. ამის გამო საჭიროა გამოცხადება, რომ რუსეთის მთავრობის აზრით, ბოლგარიის მთავარი იყო და არის ბოლგარიის ხალხისაგან ამორჩეული პირი, რომელსაც თანაუგრძნობდა მიცვალებული იმპერატორი და რომელიც მთელმა ევროპამ იცნო მთავრად. მთავარი არის განხორციელებული, განუწყვეტელი კავშირი რუსისა და ბოლგარიის ერთა შორის. იმპერატორი ენდობა გრძნობას და კეთილ შობილებას მთავრისას და იმედი აქვს, რომ ერთხელვე ნაკისრ საქმეს— ბოლგარიის ხალხის წარმატებას—შესწირავს თავის სიცოცხლეს; რუსის მმართებლობა დარწმუნებულია, რომ ბოლგარიის მთავარმა მხოლოთ იმიტომ მოითხოვა მომეტებული უფლება, რომ უამისოთ არ შეეძლო თავის მძიმე ვალდებულების რიგიანად შესრულება. ბოლგარიის ხალხი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ რუსის იმპერატორს და ხალხს სიკეთის მეტი არა ჰსურს-რა იმისათვის.

კავკასიის არტილერიის უფროსს დენ. სტაანოს გბოძა ალექსანდრე ნევსკის ორდენი, ადგილობრივ ჯარის უფროსს დენ. დეველს—თეთრი არწივის ორდენი და დენ. მერხელევიჩს ვლადიმირის ორდენი მეორე ხარისხისა.

### ახალი ამბები.

გზაზე, რკინის გზის სტანციებზე, სადაც კი ცოტა ხნობით უნდა გაჩერებულიყო ბორჯომში მიმავალი დიდი მთავარი, ყველგან დიდის ამბით დაუხვდა ხალხი, რომელიც სოფლებიდამ მოგროვილიყვნენ და დანიშნულ დროს უცდიდნენ ამ სტანციებზე.

აბჭალაში დილმის მამასახლისმა რუსულად უთხრა დიდ მთავარს სიტყვა, რომელშიაც გამოუცხადა ხალხის მწუხარება იმის წაბრძანების გამო.

მცხეთაში, ქსნის სტანციაზედ, ქასპში ყველგან დიდძალი ხალხი ელოდა დიდის მთავრის გავლას და ყველგან ალტაცებით მიეგებენ.

გორში ვაგზალზე სოფლელებს გარდა, მოგროვილი იყვნენ ადგილობრივი თავად-აზნაურობა, სამხედრო და სამოქალაქო უწყებისა და ქალაქის წარმომადგენელნი. აგრეთვე სამასწავლებლო სემინარიის შაგირდები; ამ სემინარიის დირექტორმა ბ. სიმონოვმა უთხრა იმას გრძნობით სავსე და მადლობის სიტყვა სემინარიის დაარსებისათვის.

მეორე საათის ნახევარზე დიდი მთავარი თავის უფროსის ვაჟით მიბრძანდა ხაშურში, სადაც ეკიპაჟი მზათ იყო ბორჯომში წასასვლელად.

დიდი მთავარი, როგორც ეტყობოდა, ძალიან აღელვებული იყო ხალხის ამგვარ გულ-მხურვალით და თანაგრძნობით გამოთხოვებაზე, და თვალიდამ ცრემლი სცვივოდა, როცა ხალხს ეთხოვებოდა; ყველას თითო-ოროლა ტკბილი სიტყვა უთხრა. სხვათა შორის გრაკალის სტანციაზე მოგროვილ ხალხს უთხრა: იმედი მაქვს, კიდევ გნახოთ, მაგრამ ნამესტნიკათ კი არა, ვითარცა სტუმარიო. გორის ქალაქის წარმომადგენლებს უთხრა, რომ წყლის ნაპირა კედლის გასაკეთებლად მთავრობისაგან შემწეობას მოელოდეთო.

* * *

მთავარ-მმართებლის მოადგილის მეუღლეს კნეინა ალექსანდრა მაკარის ასულს მელიქოვისას შემდეგი ტელეგრამმა მოუვიდა ბორჯომიდამ დიდის მთავრისაგან:

„ჩემს დღეში არ დამავიწყდება თფილისის ქალების გაცილება და თქვენი გამოსათხოვარი გულითადი სიტყვა. გულითადს მადლობას გითვლით თქვენ, კნეინა, და თფილისის ყველა ქალებსა. უფალი იყოს თქვენი მფარველი.“

მიხაილ.

* * *

მაღალ-ყოვლად სამღვდელომ საქართველოს ეგზარხოსმა იოანნიკიმ და ყოვლად სამღვდელომ ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ნება-რთვა სთხოვეს დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის-

---

«დროების» ფელეტონი, 30 მაისი.

### კიდევ ცოტა რამ პედაგოგიიდამ.

ვგონებ მთელ დედა-მიწის ზურგზედ არ მოიპოვებოდეს იმისთანა ქვეყანა, სადაც ისეთს პატარა ადგილზედ, როგორც კავკასია არის, სცხოვრებდეს ისე ბევრი სხვა-და-სხვა ხალხები, რომლებიც განირჩევიან ერთმანეთში გარეგანი შეხედულობით, ოჯახებრივი მოწყობილობით, სარწმუნოებით, ენით, ყოფა-ქცევით და სხვ.

ეს ესეც უნდა იყოს, თუ მხედველობაში მივიღებთ კავკასიის გეოგრაფიულ მდგომარეობას: როდესაც მოხდა ესრედ წოდებული დიდი გარდასახლება ხალხებისა, როდესაც აზიის შუა გულიდამ აიშალა ფუტკარივით ხალხი და გაემგზავრა ევროპისაკენ, მაშინ კავკასია იყო მხოლოთ ერთი გზა, საითაც უნდა გაევლოთ ამ ველურ ხალხებს. თავის მსვლელობაზე გზაზედ ამ ხალხებმა არა დაარჩინეს-რა შეუმუსრავი და შეურყეველი. რამდენ ხალხს აცვლევინეს ცხოვრების ბინა, რამდენი სრულიად აღგავეს დედა-მიწის პირიდამ, რამდენი დაჰყვეს ნაწილ-ნაწილად და ერთი ნაწილი აქეთ გადმოაგდეს მეორე იქით და ნაცვლათ ამ ხალხებისა დასტოვეს თავისი წარმომადგენელები!..

აი პირველი მიზეზი სხვა-და-სხვა ხალხების არსებობისა კავკასიაში.

მეორე მიზეზი მდგომარეობს თვით ადგილის პირის მოწყობილებაში: კავკასიას არ აკლია არც უმაღლესი მთები, არც სრული ვაკე ადგილები; არც ცხელი, არც თბილი და არც ცივი ჰავა. რადგანაც ყოველი სულდგმული და ამასთან ადამიანიც იძულებული ხდება თავის სიცოცხლის დასაცველათ შეირჩინოს და გაიუმჯობესოს მხოლოთ ის თვისებანი, რომლებიც უფრო კარგათ ეხმარებიან ადგილობრივ პირობებში მოწყობას, რადგანაც ეს პირობები ყველგან ერთ-გვარნი არ არიან, იმიტომაც ყოველგან ერთი თვისების ხალხები არა სცხოვრობენ.

თუმცა საზოგადო კანონი და ადამიანის ბუნება კი მოითხოვს, რომ ყველა ხალხები იზრდებოდნენ განსაკუთრებით, თავისი საკუთარის ცხოვრებით, მაგრამ საუბედუროთ ეს ყოველთვის უნაყოფოთ რჩება. ხალხოსნობა იმისთანა თვისება არის, რომ იმის სრულიად შეცვლა ყოვლად შეუძლებელია. ავიღოთ მაგალითად ებრაელები, რომელთაც ამ ჟამათ მთელ სამხრეთ რუსეთში ცეცხლ-ტყვით სდევნის ხალხი, სარჩოს სტაცებს, სახლებს უნგრევს, ქვეყნის დაარსებიდამ ეს ერთი მუჭა ხალხი დაფანტულია მთელ დედა-მიწის ზურგზედ. ისინი სცხოვრობენ ევროპის ყველა სახელმწიფოებში, ამერიკაში, აფრიკაში და აზიაში. ყველა სახელმწიფოებში მთავრობა ცდილობს დაეკარგვინოს ამ ხალხს თავისი გვარტომობა, ნაციონალური თვისებანი და მით შეურთოს სახელმწიფოს ხალხის უმრავლესობასთან; მაგრამ ყველა ეს ცდა ამაოთ რჩება. ებრაელი ყოველგან რჩება ებრაელათ.

ეს ძნელია რომელიმე ხალხის გვარტომობის შეურაცხყოფა; ესე ყოველთვის უნაყოფოთ რჩება ჩვენი ცდა, რომ ხალხს გამოუცვალოთ ისტორიული ხასიათი.

თვით რუსეთშივე სამხრეთისკენ სცხოვრებს კიდევ სხვა ხალხი მალოროსები, (მცირე რუსეთის ხალხი) რომელნიც, თუმცა ბევრათ წააგვან ჩრდილო რუსეთში მცხოვრებ ველიკორუსებს, მაგრამ პირველთ აქვთ თვისი განსაკუთრებული ენა, ჩვეულება, მწერლობა—უფრო ხალხური პოეზია. მალოროსები თავის ენით დამორჩილდნენ რუსეთის მეფეს 1653 წ. და მას შემდეგ იწყობა ამ ხალხის „გარუსება,“ მაგრამ დღევანდლამდინ ამ ცდამ ნაყოფი არ მოიტანა: მალოროსებს მკვიდრათ უჭირავთ თავისი ენა, ჩვეულება; ძვირად აფასებენ თავის ისტორიულ წარსულს.

ძეს, რომ იმის სახელობით თითო სტიპენდიები დააწესონ თავის ხარჯით თფილისის სასულიერო სემინარიაში.

* * *

დიდი მთავარი ბორჯომში, როგორც ამბობენ, სამი დღე დარჩება; იქიდამ დაბრუნებული ქუთაისში გაივლის, სადაც ერთს დღეს მოიცდის. ბათუმში იმას დახვდებაო დ. მ. კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე და ორივე ერთად წაბრძანდებიან პეტერბურღში.

* * *

ჩვენ მივიღეთ ორი საყმაწვილო წიგნი გამოცემა **წერა-კითხვის** გამავრცელებელი საზოგადოებისა. ერთი—„**წითელი ფარანი**", მოთხრობა ვუჩეტიჩისა, თარგმანი გ. ანდრონიკაშვილისა და მეორე—„**ხატაური**", საყმაწვილო მოთხრობა შმიდტისა, თარგმანი ანასტასია თუმანიშვილისა.

ორივე წიგნები მსხვილის, ადვილათ ამოსაკითხი ასოებით არის დაბეჭდილი კარგს ქაღალდზე. როგორც პირველი ნაბიჯი საზოგადოებისა ეს სუფთა გამოცემა კარგის ენით თარგმნილი წიგნებისა ჩვენის შეხედულებით, სრულათ მოსაწონი არის.

თითონ თხზულება საკმაოთ არის ცნობილი რუსეთის პედაგოგიურ ლიტერატურაში. ორსავე მოთხრობას მიღებული აქვს ფრებელის სახელის პრემია.

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ. რომ წიგნის ყიდვა, თუ დაბარება შეიძლება საზოგადოების კანცელიარიიდამ, საპიორის ქუჩაზე № 41. **წითელი ფარანი** ღირს სამ შაურათ და **ხატაური**—უზალთუნათ.

* * *

მოგვყავს დაწვრილებითი აღწერილობა დამსწრესი იმ საზარელი სკანდალისა, რომელიც ქუთაისის ქალაქის ბაღში მომხდარა 27 ამ თვისას საღამოს რვა საათზე:

„ჩვეულებრივად ბაღში მრავალი მოსეირნეა; გაბაშვილის პავილიონთან სტოლებს უსხედან და პივოს მიირთმევენ ოციოდე ქალი და კაცი.

„ერთს სტოლთან, ქალებში ზის აქაურს სახელმწიფო ქონებათა მმართებლობაში მოსამსახურე ნ. ლ—ძე და კავალერობასა სწევს. ამ დროს მოვა ერთი დამთვრალი ყმაწვილი კაცი მ—ძე, რომელსაც რაღაც უსიამოვნება ქონია ლ—ძესთან და ქალებთან დაუწყებს უშვერის სიტყვებით გინებას. ლ—ძე მიიწევს დაუპატიჟებელს, უზრდელს სტუმართან, მაგრამ პავილიონის პატრონი გ—შვილი ხელს მოჰკიდებს და განზე წაიყვანს. მ—ძე დაეწევა მათ და ლ—ძეს სილას გაარტყამს. ეს უკანასკნელი გაუსხლტება ხელიდან გ—შვილს, მივარდება მ—ძეს, გაარტყამს ცემით უკან-უკან ახევინებს, ჩააჩოქებს და წიხლს ჩასცემს...

„დამსწრეთა შორის შეიქნება ფუსფუსი, გაშველება უნდათ, მაგრამ ყველა სირთუკოსნებია და ვერავინ ჰბედავს გაზავებას. პავილიონის პატრონი თვითონ გააშველებს მოჩხუბართ. ნაცემი მ—ძე სალანძღავ ლექსიკონის უუმკვახეს სიტყვებით შეამკობს თავის გამლახველს. ეს უკანასკნელი სთხოვს ნუ მაგინებ, გამშორდით.

„ამ დროს მოვა პოლიციის პრისტავი ბ. გუგუშვილი მარტოდ-მარტო; ფრანტულად ჩაცმულია, წვერ-ულვაშზე ხელს ისვამს, სირთუკს ისწორებს; ეტყობა „დამსკი კავალერია"... გაბაშვილი სთხოვს „წესიერების დამცველს" ეს ყმაწვილი (მ—ძე) აქედამ გაიყვანეთ, ცემა-ტყეპა გამართა საზოგადოებაშიო. პრისტავი საქმის გამოკითხვას შეუდგება...

„საიდღამაც გაჩნდებიან თავით ფეხამდე შეიარაღებულნი მ—ძის ამქრები და ცნობილი სკანდალისტები ვ. და ი. ა—ნები, რომელნიც წამოესარჩლებიან მ—ძეს და ამხნევებენ მას... ეს უკანასკნელი უმატებს ლანძღვა-გინებას და უძახის, თუ „დედაბერი არ ხარ, აბა ახლა მოდი!" ლ—ძეს უშოვნია ჯოხი (იარაღი არაფერი ჰქონია), დაეცემა მ—ძეს, უთაქებს ერთს და წააბარბაცებს... რამდენიმე კაცი მივარდება მათ, გააშველებენ და ლ—ძეს ჯოხს წაართმევენ...

„პრისტავი სადღაც გაიპარება...

„ცემისაგან გამწარებული მ—ძე იშიშვლებს ხანჯალს და მიიწევა ლ—ძისკენ... ხალხი გარბის, არავინ აჩერებს მ—ძეს, რომელიც მივა თავის გამლახველთან, ლოყაზე შემოჰკრავს ხანჯალს და დასჭრის. შორი-ახლოს მდგომნი თითქმის ძალ-დაძალ გაარბენინებენ ლ—ძეს, რომელსაც უკან მისდევს მ—ძე და ურტყამს ზურგზე ხანჯალს, მაგრამ რაღაც ბედათ, ვერც ერთი ჭრილობა ვერ დააჩინა, რადგანაც ყოველს მოქნევაზე ჰაერში გადუტრიალდებოდა ხანჯალი და სიბრტყით დასცემდა.

„ამასობაში ვ. ავალიანმაც იძრო ხანჯალი და გამოეკიდა იმავ ლ—ძეს. გულმოცემული მ-ძე ზემოდამ აღერს ხანჯალს და უნდა ფერდში წვერით შესცეს, მაგრამ თ. ჩ—ძე წამოეწევა, ჯოხს დაჰკრავს ხელზე და შეაჩერებს... მოჩხუბარნი საბოლოოდ განშორდებიან ერთმანეთს...

„ამ დროის განმავლობაში ყველა დამსწრენი ზარდაცემულია, ვინ გარბის, ვინ ხეზე ძვრება და იქ იფარავს თავს; გაქცეულ ქალებს შეშინებული ბავშები კაბებში უძვრებიან, ესენი ეცემიან, ჰკივიან და წივიან... არსაიდამ პოლიცია, არსაიდამ კაცი, რომ შეაჩეროს სკანდალისტები ა—ნები, რომელნიც იარაღ ამოღებულნი დაბრუნდენ, მივარდენ პავილიონს, მტვრად აქციეს ფანჯრების მინები, მიუბრუნდენ იქ მდგომ საზოგადოებას, ყველას იფრენენ წინ, გაისეირნ-გამოისეირნებენ და რამდენიმე წამის შემდეგ არხეინად წაბრძანდებიან თავთავიანთს სახლში...

თითქმის ერთი საათი გაგრძელდა ეს კინწლაობა, რომლის გათავების შემდეგ მობრძანდა გუგუშვილი „იგივ მხნე, იგივ ფეხ-მალი" და იკითხა ვინ-და-ვინ ჩხუბობდა, მოწმეები ვინ იყვნენო?... ვიღამაც ჰკითხა ბ. პრისტავს:

— სად იყავით ჩხუბის დროს, რატომ არ ეცადეთ გაშველებასო?

— თუვინდ კიდეც ვყოფილიყავი, რას ვიზამდი მე ერთიო

— დაგესტვინათ ქე-მაინც, დესეტნიკები მოვიდოდნენო.

— ვინ მოვიდოდაო? პოლიციაში ერთი სტოროჟის მეტი არ არისო"!!

* * *

ქუთაისიდამვე გვწერენ შემდეგ ამბავს:

„აქაურს საკათედრო სობოროში ამ თვეში შემდეგი ამბავი მოხდა: აპრილის თვის სანთლის შემოსავალი, ამ თვის დამდეგს, ბ-ნ სტაროსტას ლუკა ბაქრაძეს უნდა ჩაებარებია კანდელაკის მ. ქიკაჩეიშვილისთვის. სანთლის ფულის ყუთის კლიტე ჰქონდა კანდელაკს, სანთელს კი ჰყიდდა სტაროსტა. მივიდნენ თუ არა იგინი ყუთთან შესამოწმებლად, ყუთი გატეხილი დახვდათ და სრულიად ცარიელი... ქანდელაკი ერთობ შესწუხდა, სტაროსტაც... ბოლოს ეს ეუბნება კანდელაკს:

„ეს სახუმრო არ არის, სხვებიც დავათვალიეროთ...

„დაათვალიერეს სხვა ფულებიც და გამოდგა, რომ შემონაწირის ფულის კრუჟკები, ხატისა და განზანაკისა, და სკივრები ძვირფასის ნივთებით გაღებული და დამტვრეულია... მაგრამ ფულის მეტი წაღებული არა არის-რა. ახლა უფრო გადაირია კანდელაკი.

„ეს მაშინვე ატყობინებს ბ. დეკანოზს. დეკანოზი, როგორც გამოცდილი კაცი, აათვალ-ჩამოათვალიერებს ყველაფერს, პოლიციას ატყობინებს და კანდელაკს ეუბნება ყოვლად-სამღვ-

---

ქავკასიაშიდაც იგივე მოხდა. მთავრობამ საჭიროთ დაინახა ყველა მთებში მცხოვრებელი ხალხების რუსეთთან სრული ორგანიული შეერთება. რადგანაც ხალხების შეერთებაში სარწმუნოებას უჭირავს საპატიო ალაგი, იმიტომაც მთავრობამ განიზრახა ამ ხალხებში ქრისტიანობის გავრცელება. საზოგადოებამაც თანაუგრძნო მთავრობას და ისურვა დახმარება. შესდგა „**ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოება კავკასიაში.**" მთავრობაც სიხარულით მიეგება ამ „საზოგადოებას" ნივთიერი დახმარების აღმოჩენით.

ქრისტიანობის გასავრცელებლად ამ საზოგადოებამ გაგზავნა სხვა-და-სხვა ხალხებში მისიონერები (მქადაგებლები), რომელთაც ვერ მიაღწიეს აღნიშნულ მიზანს. გონებით გაუნათლებელ ხალხს ვერ შეეძლო მიეღო ქრისტეს სწავლა, რომლისათვისაც საჭიროა გონებითი სიმაღლე. თუმცა ზოგიერთებმა კიდეც მიიღეს ეს სარწმუნოება, მაგრამ ეს მიღება იყო მხოლოდ გარეგანი წესების ასრულება და არა ნამდვილი გაუმჯობესობა ზნეობითი მიმართულებისა.

„საზოგადოება" დარწმუნდა, რომ, თუ ხალხი არ განათლდა, ქრისტიანობის გავრცელება ყოვლად შეუძლებელიაო; იმიტომაც იმან იწყო სკოლების მართვა. ამ „საზოგადოების" საქებად უნდა ვსთქვათ, რომ ის პირველშივე მიხვდა რაში მდგომარეობს ხალხის განათლების უპირველესი პირობა. ეს პირობა არის კარგათ მომზადებული სასწავლებლები, იმიტომაც 1865 წ. გახსნა თფილისში საოსტატო სემინარია, რომელიც 1872 წ. გადავიდა მთავრობის ხელში და გადაკეთდა ინსტიტუტათ.

რადგანაც „საზოგადოებას" მიზნათ ჰქონდა სწავლა-განათლების გავრცელება მათის ხალხებში: ოსებში, აფხაზებში, სვანებში, იმიტომაც ახლად დაარსებულ საოსტატო სემინარიაში იყვნენ მოწვეულნი მოწაფეები ამ ხალხებიდამვე. ამ გვარი განზრახვა „ფრიად მოსაწონი იქნებოდა, რადგანაც ხალხიდამ გამოსული ახალ-გაზრდობა უფრო კარგათ იცნობს ამ ხალხს და მით უფრო უკეთესათ შეეძლო ქონოდა მაზედ გავლენა, რომ ს ოსტატო სემინარიაში ახალგაზდობას მიეღო პატარა ხეირიანი სწავლა; მაგრამ საუბედუროთ სემინარია ვერ აძლევდა თავის მოწაფეებს ყველა მას, რაც შეადგენს აუცილებელ მოთხოვნილებას სოფლის მასწავლებლისთვის—საერთო გონება გახსნილობას. სემინარიაში ასწავლიდნენ ხელოსნობას, მებაღეობას, წიგნების აკინძვას; ყველა ეს საჭირო და სასარგებლო ცოდნაა, მაგრამ თუ რომ ამათი შესწავლა დააბრკოლებს ყმაწვილის საერთო გონება-გახსნილობას, უმჯობესია იმას თავი დავანებოთ. მთელი სადილოშემდეგი დრო იკარგებოდა ამ ხელოსნობაზედ და შედეგი კი რა იყო? ის, რომ ერთი-ორი შაგირდი შეეჩვეოდა რანდის გასმას. და თუ მხედველობაში მივიღებთ სამის წლის ვადას, რომელიც იყო დანიშნული სემინარიაში კურსის შესრულებისთვის, მაშინ დავრწმუნდებით, რა ძვირათ ეღირებოდა მოწაფეებისთვის ყოველი დაკარგული საათი.

ამ დროსვე სემინარიაში ასწავლიდნენ პრაქტიკულ მედიცინას და გიგიენას. ამ საგნებისთვის რომ ჯეროვანი ყურადღება მიექციათ, მაშინ მასწავლებელი აღარ გახდებოდა იძულებული მიემართა სოფლის დედაკაცებისთვის; მაშინ მასწავლებელს შეეძლო აღმოეჩინა პირველი შველა ავათმყოფისთვის და ესეც დიდი შეწევნა იქნებოდა სოფლის ხალხისთვის, რომელიც იხოცება უექიმოთ, მოუვლელათ.

სამი წლის ვადა, რომელიც დანიშნულია საოსტატო სემინარიის კურსის შესრულებისთვის, ჩემის აზრით, სრულიად არა კმარა მასწავლებლების მოსამზადებლათ. მოწაფეები ვერ ასწრობენ შეისწავლონ

დილოს აცნობე, მაგრამ ოფიციალურ მსვლელობას ნუ მისცემ ამ შემთხვევასო, ეს „შინაურისგანაა, და მალე გამოჩნდებაო.“

„მართლაც იმავე დღეს, ნალოცევს სტაროსტა ატყობინებს მ. მ. დეკანოზს და კანდელაკს, რომ ფულები დაბლა უჯრაში ჩაცვინულა და აქ არისო. იმათ გაუხარდათ, რომ შეიტყეს, ვისგან იყო ეს „მანქანება;“ მაგრამ ვერა გაუბედეს-რა. ყოვლად სამღვდელომაც შეიტყო ეს ამბავი, მაგრამ, როგორც მესმის, ყველანი დაჩუმებული არიან.

„ზავიდა სამი დღე, და კიდევ მეორე შემთხვევა მოხდა ისევ ამ სობოროში: ღამის თერთმეტ საათზე რო მოვიდნენ სობოროსთან ღამის ყარაულები, სობოროს ყველა კარები ღია დახვდათ. შეშინებული მიცვივდნენ დეკანოზთან. ეს მოვიდა, დაჰხედა და უბრძანა: „დაჩუმდით, არაფერია, ამას მე შევიტყობო. ყარაულებმა მეორე დღესვე ხელი აიღეს ყარაულობაზე და დეკანოზს გამოუცხადეს: ეს ულმერთო ვიღაც შინაურია, სწორედ ხათაბალაში გაგვახვევსო და ამისთვის აღარ შეგვიძლიან ვუყარაულოთო.

„დღემდინ ამ საქმეზედაც ყველა გაჩუმებულია, ვინ იცის რა არის წაღებული?!

„ზვაკვირვებს—რატომ ამ საქმეზედ დღემდინ გამოძიება არ არის დანიშნული...“

—

შეცდომა. გუშინდელ წინა სტატიაში („სამღვდელოთა კრებას“), მესამე სვეტის თავში დაბეჭდილია: „...იბეჭდებიან ქადაგებანი დიდათ პატივცემულის ალექსანდრე ეპისკოპოსის მეოხებით და სიტყვით...“ უნდა იყოს: „ალექსანდრე ეპისკოპოსის მეოხებით და სიუხვით...“

# უცხოეთი

—

ბოლგარია. ქ. სოფია 28 აპრილს. („დროების“ კორრესპონდენცია). გუშინდელმა პროკლამაციამ, გამოცემ. ბოლგარიის მთავარის ალექსანდრეს მიერ, ცოტა არა რომ შეარყია მთელი სამთავრო. ამ ერთიკვირის წინათაც თუმცა ისმოდა ხმა, რომ სამინისტრო დაიშალაო და შინაგანი განხეთქილება ჩამოვარდა ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორისო, მაგრამ ნამდვილი საქმე რაში მდგომარეობდა, გარდა ათიოდ კაცისა, ისიც საიდუმლოთ, სხვებმა არაფერიც არა იცოდნენ-რა და თითქმის დღესაც,—ვინ რასა თხოულობს ანუ ვის რა უნდა—ეს საგანიც გამოაშკარავებული არ არის.

ეს ამბავი ძრიელ საყურადღებოა არამც თუ მარტო ჩვენთვის, არამედ ზოგიერთისთვის პოლიტიკური მდგომარეობის მხრით...

ამასთანავე გაუწყებთ ჯერეთ პროკლამაციის შინაარსს და შემდეგ ზოგს „ჭორებსაც“, რომელნიც ხალხში გავრცელებულია...

ამ პროკლამაციის გამოცემამდის მთავარი ძრიელ კადნიერებით და სიყვარულით მოიწვევდა და მოიხსენებდა ხოლმე თავის ქვეშევრდომებს; დღეს კი მხოლოდ ნამდვილი მონარხიული ბრძანებლობითი ხასიათი დაიჭირა. პროკლამაცია დაიწყობა ამ სახით:

„ბოლგარნო!

„ორ წელიწადზედ მეტმა განვლო მას აქეთ, რაც მე ღვთის განგებით და ხალხის ამორჩევით ვარ ბოლგარიის ერის ბედის გამგე. ამ ხნის განმავლობაში უოგელი ღონისძიება და მეცადინეობა იყო ჩემგნით მიღებული სამთავროს გაუმჯობესობისათვის; მაგრამ, როგორც დღეს გატყობ შინაგან საქმის მიმართულებას, გარდა ცუდის შედეგისა, სხვა არაფერი სიკეთე არა ეტყობა-რა და ეს ძალიან გვაშინებს მომავალი კეთილ-დღეობისთვის...

„ბოლგარნო! მე დავსდევი ფიცი კონსტიტუციისა. მე თვითონ შევფიცე და ვსასოებ მას ბოლომდის. კონსტიტუცია და კანონი უნდა იყოს წმინდათ და შეურყეველად; მაგრამ უნდა გვქონდეს მხედველობაში სარგებლობა და სიკეთე სამთავროისა.

„სარგებლობის და სიკეთის მკვიდრს ნიადაგზე დადგენა ჩემი ვალდებულებაა. მაგრამ დღევანდელი მდგომარეობა და საქმეები სამთავროისა შეუძლებელად მყოფს მე აღვასრულო ჩემი ვალდებულება და დანიშნულება. ამისათვის, თანახმად კონსტიტუციისა, მე გადავსწყვიტე: მოვიწვიო ამ მოკლე ხანში „დიდი საერო კრება“ (Великото Народно Събрание), რომელსაც გამოუცხადებ ჩემს უკანასკნელს გარდაწყვეტილებას და გარდავსცემ მას ერთად გვირგვინს ბოლგარიის ერის ბედთან.

„მე მივანდე ჩემს სამხედრო მინისტრს გენერალს ერნროტს, რათა შეადგინოს მან ახალი სამინისტრო, რომელსაც ექნება დროებითი ხასიათი და თუ „დიდი საერო კრება“ შეიწყნარებს ჩემს წინადადებას და აღასრულებს ჩემს მოთხოვნილებას, მაშინ სიამოვნებით დავრჩები ისევე მთავრად და ვიქნები იმ მძიმე პასუხის-მგებელი წინაშე ღვთისა და ჩამომავლობისა, რომელნიც მიკისრნია; ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, სამწუხაროდ ჩემდა, უარი მითქვამს მთავრად დარჩომისა და სხვ...“

კონსტიტუციის ძალით, მართალია, მთავარსა აქვს ნება მოიპატიჟოს „დიდი საერო კრება“; მაგრამ რასაც ეს კრება განჩინებას დაადგენს, ორი მესამედი ხმის უმრავლესობით, მაშინ ვეღარც მთავარი და ვეღარც სამინისტრო კრებას ვერ შეუძლიან ის დაარღვიოს; აგრეთვე მხოლოთ ამ „დიდ საერო კრებასა“ აქვს უფლება კონსტიტუციის რომელიმე მუხლები შესცვალოს და თუ საჭიროება და საქმის გარემოება რასმეს ახალს კანონს მოითხოვს—დაუმატოს.

„საერო კრება“ განიყოფების ორ ნაწილად:—პირველი „დიდი“ [illegible] მეორე—„პატარა“ ანუ „ჩვეულებრივი“. ჩვეულებრივი კრების გარდაწყვეტილება მთავარს შეუძლიან, თუ ჭკუაში არ დაუჯდა, დაარღვიოს და შესცვალოს; ამასთანავე ყოველი მინისტრი გადააყენოს. ხოლო „დიდი საერო კრების“ გარდაწყვეტილებას კი როგორც ზემოთ ამისა არის ნათქვამი, თვით ამ კრების მეტი, ვერავინ ვერ დაარღვევს და შესცვლის.

კონსტიტუციის ძალით, მანიფესტის ანუ პროკლამაციის გამოცხადების შემდეგ მთავრისაგან მოწვეული, კრება ორის თვის განმავლობაში უნდა შეიყაროს დანიშნულ ალაგას. ამ აღნიშნულს კრებას, ამბობენ, ვითომც ქ. სისტოვში ექნება ყრილობაო, და წინათ კი ყოველი ამ გვარი კრება ანუ სესსია უთუოთ სატახტო ქალაქში ყოფილა ხოლმე.

დროებითის ახალ სამინისტროს თავ-მჯდომარედ სამხედრო მინისტრი გენერალი ერნროტი იქნება; ესვე იქნება დროებით შინაგან საქმეთა მინისტრად. ჯერეთ აშკარათ კი არ არის გამოცხადებული, მაგრამ დაჭეშმარიტებით კი ვიცი, რომ ბოლგარია დროებით ხუთ სამხედრო ოლქათ გაიყოფება: სოფიის, ვიდდინის, რუსჩუკის, ვარნის და ტირნოვისა. გუბერნატორებიც დანიშნულნი არიან...

ამ გვარს შემთხვევაში, როდესაც მთავრობისა და ერს შორის განხეთქილება ჩამოვარდება იშვიათი შემთხვევა იქნება თუ მშვიდობიანათ გარდასწყდა საქმე.

მთავარმა კონსტიტუციის ერთგულებას შეჰფიცა, ხოლო სამხედროებამ აფიცრებითურთ (გარდა რუსის იმპერიის აფიცრებისა)—მთავარს. ამ შემთხვევაში, თუ უმთავრესი დამმარღვეველი მიზეზი „ზემო ფარდებიდამ“ დაიწყობა, მაშინ მგონია „ქვემო ფარდების“ წაბაძვა გასაკიცხავი არ იყოს. კონსტიტუციის ძალით, აფიცრებს აღეკრძალებათ მიიღონ მონაწილეო-

---

ყველა საგნები იმდენათ, რამდენათაც ეს საჭიროა მასწავლებლებისათვის; პედაგოგიიდამ, დიდაქტიკიდამ და ფსიხოლოგიიდამ ამ გვარ სემინარიების სპეციალურ საგნებიდამ ხომ ვერ ასწრობენ უმთავრესი კანონების შესწავლას; სწავლების პრაქტიკული ვარჯიშობა კი თავდებოდა ერთი-ორი სამაგალითო გაკვეთილის მიცემით.

როგორც ზემოთ ვსთქვი, საოსტატო სემინარია გადავიდა მთავრობის ხელში და გადაკეთდა ინსტიტუტათ, საიდამაც გამოდიან სამოქალაქო მასწავლებლები. უწინდელი სამაზრო სასწავლებლები გადაკეთდნენ სამოქალაქო სასწავლებლებათ, რომლებშიაც მასწავლებლებათ ინიშნებიან ინსტიტუტში კურს შესრულებულები. ინსტიტუტში ოთხი კლასია.

ყველა სასწავლებელს უნდა ჰქონდეს დაწერილი თავის დროშაზედ „სკოლა—ცხოვრება“. სკოლა უნდა იყოს თვით ცხოვრება პატარა სახით. წინაამდეგის იქნება სასწავლებელი, სადაც მოწაფეები შეიძინენ ცოდნას, მაგრამ ეს ცოდნა სრულიად არ გააუადვილებს მათ ცხოვრებას და ბუნების მოვლინებასთან ბრძოლას, იმ ბრძოლას, საიდამაც ათასში ერთი ძლივს გამოდის გამარჯვებული; დანარჩენები კი იჭყლიტებიან ცხოვრების ზღვის ზვირთებში. თუ ეს ითქმის ყველა სასწავლებელზე, მით უფრო საოსტატო ინსტიტუტზე, რომელსაც არა აქვს მიზნათ მოწაფეების მომზადება უმაღლეს სასწავლებელში შესვლისათვის, არამედ სოფლის სკოლის წაყვანა.

ჩვენს საოსტატო ინსტიტუტს აკლდა და ეხლაც აკლია სიცოცხლე. მოწაფეები დაშორებულნი არიან ცხოვრებას; ესენი ვერ იღებენ მონაწილეობას თანა-მედროვე ცხოვრების მსვლელობაში, არ იცნობენ ამ ცხოვრებას. მოწაფეებმა უფრო კარგათ იცოდნენ ნემეცების ცხოვრება; იმათ გაგონილი ჰქონდათ, რა მდგომარეობაში იმყოფება იქ სწავლა-განათლება; იცოდნენ როგორ უყურებს გერმანიის ხალხი სკოლას და რას მოელის იმისგან, რას აძლევს მათ სკოლა; არ იცოდნენ—რა ხალხები სცხოვრობენ ჩვენ კავკასიაში. არა ჰქონდათ შესწავლილი ამ ხალხების ისტორიული განვლილი, რამდენათაც ეს შესაძლებელი იყო; მათ არ უხსნიდნენ ამ ხალხების აწმყო მდგომარეობას; არ იცნობდნენ მათ ზნეობითი მიმართულებას, ეკონომიურ მდგომარეობას. და თუ ყველა ეს არა აქვს შესწავლილი, როგორ შეუძლიან კაცს საზოგადო ასპარეზზე ნაყოფიერათ მოქმედება?

როგორც საოსტატო სემინარიისთვის არა კმარა სამი წლის კურსი, აგრეთვე ინსტიტუტისთვის არა კმარა ოთხი წელიწადი. ჩემის აზრით, ინსტიტუტში მოწაფე უნდა დარჩეს ხუთი წელიწადი, და ეს მეხუთე წელიწადი შაგირდმა უნდა გაატაროს სპეციალურ კლასში. ამ კლასში მოწაფეებმა უნდა შეისწავლონ პედაგოგიკა თეორიით და პრაქტიკით; უნდა შეისწავლონ აღზრდის ისტორია და აწმყო მდგომარეობა; წაიკითხონ და გაარჩიონ პედაგოგიური თხზულებანი, სახელმძღვანელოები; უნდა შეისწავლონ ჩვენი ენა, ლიტერატურა, ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული, ეტნოგრაფიული, სტატისტიკური მდგომარეობა.

თუ საოსტატო სემინარიებში და ინსტიტუტში მოხდება ამ გვარი ცვლილება, მაშინ ჩვენ გვეყოლებიან ცოტა, მაგრამ უფრო კარგათ მომზადებული მასწავლებლები...

რ. ჭაჭანაშვილი.

17 მაისი, თფილისი.

ბა რომელიმე საერო კრილობაში...

ეხლა აგიწერთ ხალხის ავაციას: დილით გაკრულმა ქალაქის ქუჩებზედ პროკლამაციამ საღამომდის ხალხს ალიაქოთი შეუყენა. შეიყარა ხალხი დასტებით და ყველა თავის აზრს და გარდაწყვეტილებასა სკენიდა. კონსერვატორები უფრო აშკარად მოქმედობდნენ, ვიდრე ლიბერალები. კონსერვატორებმა გარდასწყვიტეს, რომ მივიდნენ მთავართან და გამოუცხადონ თავიანთი ერთგულება, და რომ უფრო ბლომათ თანამგრძნობნი ჰყოლოდათ, მოიპატიჟეს სამხედრო მუსიკა (ადგილობრივი მთავრობის ნება-დართვით)... მუსიკას აედევნა წვრილ-ფეხობაც კიჟინით,—გაიმძღვარეს წინ სოფიის მიტროპოლიტი მილეტი და ქინქლიან ღამის ცხრა საათის ნახევარზედ მიადგნენ მთავრის პალატს დიდის „ურას“ კიჟინით. გამოიხმეს მთავარი. ჯერეთ მუსიკამ დაუკრა ბოლგარიის ნაციონალური გიმნი, რომელიც წარსული ომის წინათ შეადგინეს პლოეშტში ბოლგარიის მილიციონერებმა: „შფოთავს მარიცა სისხლით მღვრეული“ და სხ... შემდეგ მიტროპოლიტმა უთხრა მთავარს სიტყვა, რომელშიაც გამოხატა ის აზრი, რომ ხუთასის წლის მონების შემდეგ, დღეს შენა ხარ დამხსნელი ჩვენი ისე, როგორც მოსემ განაპო ზღვა შეწამული და დაიხსნა ერი თვისი და სხვ.

ხალხმა დაიყვირა „გაუმარჯოს ალექსანდრე პირველს ბოლგარიის მთავარს! ურაა!“ მთავარმა უპასუხა: „მადლობთ თანაგრძნობისთვის. მე ჩემს აზრს და მოთხოვნილებას გამოუცხადებ „დიდს საერო კრებას“ და როგორც ისინი გარდასწყვეტენ, მეც იმის თანახმად მოვიქცევი“!.. დაუკრა თავი და შევიდა შიგ. ხალხმა კვალად გამოიხმო „ურას“ კიჟინით: „გაუმარჯოს ალექსანდრე პირველს! გაუმარჯოს ბოლგარიას!, ურაა!“..

ამ დროს დაუკრა მუსიკამ ბოლგარული ხორო (ფერხისა), ცოტას ხანს იცეკვეს და იტლინკეს და დაიშალნენ.

მეორე დღეს საღამოს იმავე დროს ცხრის ნახევარ საათზე შეიყარნენ ნამილიციონარევი (**ополченцы**), მუსიკით და კიჟინით გამოიხმეს მთავარი და მიართვეს ადრესი:

თქვენო უმაღლესობავ! მოვსულვართ შენს წინაშე, რათა ვაღვიაროთ ჩვენი გულითადი თანაგრძნობა. ყველაზედ მომეტებული ხმა ბოლგარიის განთავისუფლებაში ჩვენა გვაქვს, რომელმაც დავღვარეთ სისხლი ერთად ძლევა-მოსილი რუსეთის მხედრობასთან. დაგვისახელე და გვიჩვენე ვინ არიან თქვენი მტერნი და მაშინ ნახავენ როგორ შევიმუსროთ იგინი და სხ... გაუმარჯოს ბოლგარიის მთავარს ალექსანდრე პირველს! გაუმარჯოს რუსთ ხელმწიფეს ალექსანდრე მესამეს! გაუმარჯოს რუსთ მხედრობას! გაუმარჯოს ბოლგარიას“ და სხვ.

მთავარი ძალიან კმაყოფილი დარჩა და იმ პასუხით გაისტუმრა, როგორც გუშინდელი ხალხი.

როგორც პირველი იგრეთვე ეს მეორე კრებაც შემდეგ მთავრის სამხედრო მინისტრს გენერ. ერნროტს ეწვივნენ და ბევრი იყვირეს: „გაუმარჯოს ჩვენს სამხედრო მინისტრს! გაუმარჯოს რუსეთის გენერლებს, აფიცრებს და მთლად მხედრობას ურაა“!.. ერნროტმა უპასუხა. „დიდათ კმაყოფილი ვარ, რომ თქვენ აგრე გონივრულით ირჯებით, ჰკვასა და გონებაში ჩავარდნილხართ... გაუმარჯოს ბოლგარიას!...

სოფიის ქალაქის მოვაჭრენიც ამ სახითვე ადრესის მირთმევას აპირებენ და ამათ გარდა ვითომც ახლო-მახლო სოფლელებიც ქია-ფანდურასავით აჰყვებიან...

ლიბერალების მხრით არა ვითარი განკარგულება არა ისმისრა; მხოლოთ ლიბერალური გაზეთი „დამოუკიდებლობა“ უმთავრეს ბრალს ამ საქმეში კონსერვატორების დასს აბრალებს. მე კი სხვა ეჭვი მაქვს... იქნება ათას-რვას-ორმოც-და რვის რევოლუცია საფრანგეთში და ნაპოლეონ მესამე გაცოცხლდეს.. საქმე ეხლა იმაში მდგომარეობს, რომ არავინ იცის მთავარმა რა თხოვნა და აზრი უნდა შეიტანოს „დიდს საერო კრებაში“. ჭორით ამბობენ, ვითომც კონსტიტუცია ათის წლით დავიწყებას უნდა მიეცესო და დამოუკიდებელი მონარხია დაწესდეს დროებითაო.

ბოლგარიაში ყველა დრუჟინების და სოტნების უფროსები რუსის აფიცრები არიან, ისე როგორც ინდოეთში ინგლისნი. დღევანდელი გაზეთის ნომერი „დამოუკიდებლობის“ ცოტა არა რომ მკვახეთ იხსენიებს სამხედრო მთავრობას. ბოლგარების აფიცრების შესახებ, რომ არავითარი თანამდებობით არა სარგებლობენო, ჯამაგირები სოფლის მწერალზედ ნაკლებები აქვსთო და სხ...

ვნახამთ როგორ დაბოლოვდება საქმე.

ბ. გრემელი.

# განცხადებანი

## გამოვიდა და ისყიდება

ქართველ თავად-აზნაურთა გუჯრები (გრამოტები).

შედგენილი დ. პ. ფურცელაძისაგან.

ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში, თითო წიგნი 50 კაპ., ქუთაისში გერარდის წიგნის მაღაზიაში —70 კაპ. (5—1)

თბილისის პირუტყვთა დამცველი საზოგადოება აცხადებს, რომ 31 მაისს იქნება საზოგადო კრება საზოგადოებისა წლიურ მოქმედების ანგარიშის მოსასმენებლად და ამ კრებაზე წევრებს გარდა ყველა გარეშე პირთ შეუძლიანთ მობრძანდნენ. კრება მოხდება საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზე კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ზალაში. (2—1)

მიუხედავათ იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. ინგლისის მაღაზიაში. საავგენტო პარისის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—64

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი პოკროფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემჩევინი ზეთისა) და სხვ. საავგენტო მაკინტოშის მოსასხურავების გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭუკისას იგარები. (100—64)

## ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფილდონის) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჰიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებლის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შიოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—65)

გამოვიდა „დრო არის საქმეს შეუდგეთ“ თხზულება ქრისტეფორე მამაცაშვილისა და „ვაი მართალთა!“ თხზულება ანტონ ფურცელაძისა, რომელნიც ისყიდებიან: თბილისს, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში; გორს მარიამ კერესელიძის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში და თელავს ხოტკლის წიგნის მაღაზიაში.

ფასი პირველისა აბაზი, მეორესი ექვსი შაური. (5—2)

## თფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულისა და „მმართებლობის კანონთა და განკარგულებათა კრების“ № 32-ში დაბეჭდილის თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის წესდების საფუძვლით, ამ ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს:

1) მოსპობილია სესხის გაცემა და გირავოს ფურცლების გამოცემა იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია 28 მაისის 1874 წლის ბანკის წესდებაში; მაგრამ უკვე გამოცემულ გირაოს ფურცლების შესახებ დაცული იქნება ის წესები, რომელნიც ზემოხსენებულს ბანკის წესდებაშია

2) ახალის, 17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულის წესდების ძალით, ბანკს უფლება აქვს მინიჭებული შემდეგ გუბერნიების უძრავ ქონების გირავნობით გასცეს სესხი: თფილისის, ქუთაისის, ერევნის, ბაქოს, განჯის (ელისავეტპოლის) და სოხუმის სამხედრო მაზრისა.

სესხი გაიცემა გირაოს ფურცლებით, რომლის თავდები და პასუხის-მგებელი იქნება ბანკში დაგირავებული ყველა უძრავი მამული.

4) სესხი გაიცემა: ა) ადგილ-მამულის გირავნობით $54\frac{1}{2}$ და $43\frac{1}{2}$ წლით და ბ) ქალაქის უძრავ მამულის გირავნობით—$27\frac{1}{2}$ წლით და აგრეთვე 18 წლით და 7 თვით.

ხანგრძლივ სესხისათვის სესხის ამღები მოვალეა ყოველ ექვს თვეში შემოიტანოს ბანკში სამი პროცენტი აღებულის სესხისა და ამას გარდა $\frac{2}{3}$% სათადარიგო და უჩვეულებრივო თანხის შესადგენად და ბანკის გამგეობის ხარჯისათვის.

ბანკის ვალის გადასახდელად სესხის ამღები მოვალეა ყოველ ექვს თვეში შემოიტანოს: $54\frac{1}{2}$ წლით აღებულს ვალში—$\frac{1}{8}$% პროცენტი აღებულის სესხისა, $43\frac{1}{2}$ წლით აღებულს ვალში—$\frac{1}{4}$%, $27\frac{1}{2}$ წლის ვალში—$\frac{3}{4}$% და 18 წლით და 7 თვით აღებულს ვალში—$1\frac{1}{2}$%.

5) ვისაც სურს ბანკიდამ სესხი აიღოს, ვალდებულია წარმოადგინოს ბანკის გამგეობაში: ა) ჯეროვან სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მოწმობა, რომ მამული სესხის ამღებს ეკუთვნის, ბ) ადგილის პლანი, თუ აქვს, გ) დაწვრილებით შედგენილი აღწერილობა მამულისა და დ) თხოვნა, 17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულის ბანკის წესდების თანახმად, რომელშიაც მოხსენებული უნდა იყოს-თუ რამდენი სურს აიღოს სესხად და რა ვადით. ქალაქის უძრავ მამულების დაგირავების დროს ამ დოკუმენტებს გარდა წარმოდგენილი უნდა იქნეს კიდევ სტრახის პოლისი, ე. ი. მოწმობა, რომ ის მამული ცეცხლის საზღვეველ საზოგადოებაში არის შეტანილი. სესხის აღების თხოვნასთან უნდა იქნეს წარმოდგენილი დასაფასებელი ხარჯი: ქალაქის მამულებისათვის—1% და სოფლის მამულებისათვის $\frac{3}{4}$% პროცენტი იმ სესხისა, რომლის აღებასაც თხოულობს. (10—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Мая 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორნი: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.